




**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

გაგემის განძი



გაგემის განძი, 1. XVII ს. დასაწყისის ირანული ვერცხლის მონეტების განძი, აღმოჩენილი 1969 თიხის ხელადაში გაგემის ნაქალაქარზე, სოფ. ალიაბადიდან (ზაქათალის რ-ნი, აზერბაიჯანი) 7 კმ-ზე. შეიცავს 195 მონეტას (168 აბაზიანი, 22 ორშაურიანი, 5 შაურიანი), რ-ებიც მოქრილია ირანის შაპის აბას I-ის სახელით სხვადასხვა გარაფხანაში (არდებილი, განჯა, დაურაყი, ერევანი, თავრიზი, თეირანი, ორდუ, რამჰორმზი, რეშთი, შუსთარი, ჰოვეიბა); ხოლო 2 მონეტა თბილისშია მოქრილი, 7 კი – კახეთის ქ. ზაგემის გარაფხანაში. განძის ყველაზე ადრეული მონეტა თარიღდება 1602, უგვიანესი – 1615. 8. გ. დაფლული უნდა იყოს 1616 აბას I-ის მიერ კახეთის აოხრების დროს, ქ. ზაგემის განადგურებისას. განძი დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჭანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში. 2. 1982 ზაგემის ნაქალაქარის მიდამოებში აღმოჩნდა განძი, რ-იც შეიცავდა 1921 ცალ ვერცხლის მონეტას. მათი უმეტესობა მოქრილია შემახაში, 1 მონეტა – სეფიანი შაპის ისმაილ I სახელით ჰიჯრის 928 (1521-22). ზოგიერთ მონეტაზე იკითხება თარიღები. ერთ-ერთ მონეტაზე იკითხება შაპ-თამაზ I-ის სახელი. განძი დაფლული უნდა იყოს XVI ს. შუა ხანებში.

ლიტ.: ქ უ თ ე ლ ი ა თ., ზაგემში მოქრილი მონეტები, {მაცნე}. ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1972, №4; მ ი ს ი ვ ე , ერთ-ერთ მონეტაზე იკითხება თარიღები. ერთ-ერთ მონეტაზე იკითხება შაპ-თამაზ I-ის სახელი. განძი დაფლული უნდა იყოს XVI ს. შუა ხანებში.